სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქეთი მგალობლიშვილი

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი
2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ქ.მგალობლიშვილი

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **„დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში“** შეეხება შრომის ბაზრის პრობლემებს, თვითდასაქმების თავისებურებებს საქართველოში, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები და ქვეყანაში არსებული ვითარება შეგვედარებინა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მონაცემებთან. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, რადგან ეკონომიკის არასტაბილური ზრდის პირობებში არასტაბილურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნაც. ჩატარებული **კვლევის საგნია** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით მოქმედი ინსტიტუციების კვლევის ანგარიშების ოფიციალური ვერსიები. **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ მას, რომ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებსა და ოფიციალურ სტატისტიკას შორის არსებითი სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი არასრული დასაქმებაა, როცა დასაქმებულებს არ გააჩნიათ საკმარისი სამუშაო და მიღებული შემოსავალი რეალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ძირითადად, ისინი საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას თავს უმუშევრად მიიჩნევენ; ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში დასაქმების მაჩვენებელი გასულ ათი წელთან შედარებით გაზრდილია, ქვეყნაში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალ ნიშნულს იკავებს. წლების მანძილზე დასაქმების ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და მას გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია არ ახასიათებს. ასევე ჩანს, რომ არსებულმა ეკონომიკურმა ზრდამ უმუშევრობის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა.

Annotation

k.mgaloblishvili

Employment and unemployment problems in Georgia

The master's work “Problems of Employment and Unemployment in Georgia” deals with the problems of the labor market, the characteristics of self-employment in Georgia, various aspects of state employment policy. Our goal was to study the tools of employment policy and complement the existing situation in the country with data from the former Soviet republics. Therefore, I think that the topic that we are studying is relevant. The objective of the survey is to demonstrate that the problems of employment and unemployment in Georgia are related to the economic development of the country, since it is unstable in conditions of unstable growth of economic conditions. A study conducted by the National Statistical Office of Georgia, and official versions of research reports on other international and international organizations. The object of the research is information on the official websites of the Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, the Ministry of Finance of Georgia and the National Statistical Office of Georgia. The main source of our research proves that one of the main differences between the results of public opinion and official statistics is underemployment, when employers do not have enough work and wages are less than the actual subsistence wage. In fact, they consider themselves to be unemployed while studying public opinion; A study of our study showed that, despite the fact that in Georgia in recent years, the employment rate has increased over the past ten years, the unemployment rate in the country is still high. The rate of employment growth over the years has been rather low, and this does not characterize growth. It also shows that current economic growth has not had a significant impact on reducing unemployment.

შინაარსი

შესავალი . . . . . .

თავი I
შრომის ბაზრის პრობლემები საქართველოში

1.1. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დასაქმებისა და უმუშევრობის ჭრილში
1.2. თვითდასაქმების თავისებურებები საქართველოში
1.3. დამსაქმებლები-კერძო და საჯარო სექტორი

თავი II
უმუშევრობისა და დასაქმების სხვადასხვა ასპექტები

2.1. უმუშევრობის ასაკობრივი ჭრილი და შრომის ანაზღაურება
2.2. დასაქმების სექტორული ჭრილი

თავი III
დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა

3.1. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მაგალითები ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან
3.2. სახელმწიფო პროგრამები და შექმნილი სამუშაო ადგილები
3.3. უმუშევრობის დაზღვევის საერთაშორისო პრაქტიკა და რეალური შესაძლებლობები საქართველოში

დასკვნა . . . . . .
გამოყენებული ლიტერატურა . . . . . .
დანართები . . . . . .

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **„დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში“** შეეხება შრომის ბაზრის პრობლემებს, თვითდასაქმების თავისებურებებს საქართველოში, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს. საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის ოფიციალურ აღრიცხვიანობას ანხორციელებს სახელმწიფო ინსტიტუცია- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატის მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა შინამეურნეობების ინტეგრირებული და სამუშაო ძალის გამოკვლევით ხორციელდება, რაც ყოველკვარტალურად შერჩეული შინამეურნეობების შესწავლას და მიღებული მაჩვენებლების მთლიან პოპულაციაზე განზოგადებას გულისხმობს. გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, რადგან ეკონომიკის არასტაბილური ზრდის პირობებში არასტაბილურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნაც.

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც პრიორიტეტულია ნებისმიერი ეკონომიკური პოზიციის მქონე სახელმწიფოსათვის. სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა განისაზღვრება ორი მიმართულებით: აქტიური და პასიური პოლიტიკა. აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია. აქტიური პოლიტიკისგან

განსხვავებით, პასიური პოლიტიკის მიზანი არ არის სამუშაო ძალის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება.

სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ საპარტნიორო ფონდსა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად განხორციელებული პროექტია, რომელიც 2016 წლის 11 მაისს #206 დადგენილებით დამტკიცდა. ის ეკონომიკური რეფორმების ნაწილია და სამთავრობო 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს.

2014 წლის ივნისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის მიზანია, საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს მიერ დაარსებული სამი სააგენტო-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე არიან ჩართულები „აწარმოე საქართველოს“ პროგრამაში და სთავაზობენ ფინანსურ დახმარებას შესაბამის კომპანიებს.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ასევე უნივერსიტეტის ელეტრონული ბიბლიოთეკის მასალები, და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I
შრომის ბაზრის პრობლემები საქართველოში

1.1. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დასაქმებისა და უმუშევრობის ჭრილში

მსოფლიო კლასიფიკატორით ქვეყანაში ცხოვრების დონეს ზომავენ უმუშევრობისა და დასაქმების მაჩვენებლებით. საბაზრო ეკონომიკური მოდელის მიღების შემდეგ მოიშალა ძველი ეკონომიკური კავშირები, საწარმოთა დიდი ნაწილი გაკოტრების რეჟიმში აღმოჩნდა, შრომის ბაზარზე გამოჩნდა ახალი პროფესიები, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა დასაქმებას ქვეყანაში. „საქართველოში უმუშევრობა მწვავე პრობლემაა, რომელიც თითქმის ყველა საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში ვლინდება. ბოლო დროს განხორციელებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში საერთო ეროვნულ საკითხებს შორის, მოსახლეობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. მოსახლეობის შეფასებით, სამუშაო ადგილების არარსებობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ. ამავდროულად ვიღებთ სურათს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უმუშევრად მიიჩნევს, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში განსხვავებული მაჩვენებლებია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში დასაქმების მაჩვენებელი გასულ ათი წელთან შედარებით გაზრდილია, ქვეყნაში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალ ნიშნულს იკავებს. წლების მანძილზე დასაქმების ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და მას გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია არ ახასიათებს. ასევე ჩანს, რომ არსებულმა ეკონომიკურმა ზრდამ უმუშევრობის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ

მოახდინა.“[1] საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, რადგან ეკონომიკის არასტაბილური ზრდის პირობებში არასტაბილურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნაც. არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ ის, რომ ქვეყანაში არსებულ სამუშაო ძალას აქვს დაბალი კვალიფიკაცია და არ ფლობს სამუშაო ადგილის შესაბამის უნარ-ჩვევებს. დასაქმებასა და უმუშევრობაზე საუბრისას ხშირად პრობლემები სტატუსის ფორმირებისას ჩნდება, ამიტომ დავეყრდნობით კანონმდებლობას და კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებთ:

- უმუშევრობის დონე ესაა სამუშაო ძალაში უმუშევართა წილი, პროცენტული მაჩვენებელი;
- აქტიურობის დონე ესაა შრომისუნარიან მოსახლეობაში სამუშაო ძალის წილი, პროცენტული მაჩვენებელი;
- დასაქმების დონე ესაა შრომისუნარიან მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი, პროცენტული მაჩვენებელი;
- შრომისუნარიანი მოსახლეობა ესაა 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა საპატიმროში, სამხედრო ყაზარმებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებში და სხვა მსგავს ინსტიტუციურ დაწესებულებაში მცხოვრები პირების გარდა;
- ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალა ესაა 15 წლის და უფროსი ასაკის პირები, რომლებიც მუშაობენ, ან მზად არიან სამუშაოდ და ეძებენ სამუშაოს;
- ეკონომიკურად არააქტიური სამუშაო ძალის გარეთ იგულისხმება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა, ერთი საათითაც კი გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში.

---

[1] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 2

- დასაქმებული არის დაქირავებული ან დასაქმებული პირი, რომელიც 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა შემოსავლის მიღების მიზნით, უსასყიდლოდ ეხმარებოდა შინამეურნეობის წევრებს. მათ შორის, ის პირები ვინც სამუშაოზე არ იმყოფება, მაგრამ ფორმალურად ირიცხება მომუშავედ.
- დაქირავებული არის 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. ასევე, პირი რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს.
- თვითდასაქმებული არის მესაკუთრის საქმიანობა, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით.
- საჯარო (სახელმწიფო) სექტორში დასაქმებული არის სახელმწიფო, ა/რ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ დაფინანსებულ ან/და დაფუძნებულ/კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში და სახელმწიფო/მუნიციპალურ საწარმოებში დასაქმებული პირები.
- კერძო (არასახელმწიფო) სექტორში დასაქმებული არის ის დასაქმებული პირები, რომლებიც საჯარო სექტორში არ მუშაობენ.

მოცემული განმარტებები არ არის დადგენილი საქსტატის მიერ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, შეფასებები ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით.

საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის ოფიციალურ აღრიცხვიანობას ანხორციელებს სახელმწიფო ინსტიტუცია- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქსტატის მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა შინამეურნეობების ინტეგრირებული და სამუშაო ძალის გამოკვლევით ხორციელდება, რაც ყოველკვარტალურად შერჩეული შინამეურნეობების შესწავლას და მიღებული მაჩვენებლების მთლიან პოპულაციაზე განზოგადებას გულისხმობს. თავის მხრივ, საქსტატის მიერ სტატისტიკის წარმოება საერთაშორისო შრომის



ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიას ეფუძნება. 2017 წლიდან საქსტატმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა, რაც შემდეგ საკითხებს უკავშირდება:

- მთლიანი პოპულაციის ზომის დაზუსტება, რაც 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშებას გულისხმობს;
- შერჩევის ზომის გაზრდა, რაც ყოველ კვარტალში 3400 შინამეურნეობის გამოკვლევის ნაცვლად, უკვე 6000 შინამეურნეობის გამოკვლევას მოიცავს;
- სამუშაო ძალის გამოკვლევა, რაც სამუშაო ძალის მაჩვენებლების სრულყოფას და ახალი კითხვარის დამატებას მოიცავს;



- შერჩევის დიზაინის დახვეწა, რაც ერთი და იმავე შინამეურნეობის მომდევნო წლის იმავე კვარტალში გამოკვლევას გულისხმობს.“[2]

აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ დაზუსტდა დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლები. „2017 წელს, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე 2017 წლამდე არსებულ სტატისტიკაში აისახებოდა. მაგალითად, 2015-2016 წლებში, ძველი მონაცემებით უმუშევრობის დონე 12.0% - 11.8% იყო, რაც გადაანგარიშების შემდეგ 14.1% -14.0% -ია.“[3]

საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემას საქსტატთან ერთად არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იკვლევს. ამ კვლევების თანახმად „საქართველოში ადამიანების სამუშაო ძალის მიღმა ყოფნის ერთ-ერთი მიზეზი

[2] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 6

[3] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 7

არასრული დასაქმება და ფარული უმუშევრობაა. აღნიშნული სტატისტიკის წარმოება კი არ ხდება, რათა ამ კუთხით არსებული მდგომარეობა სრულყოფილად იქნას ნაჩვენები. დღეს არსებული ოფიციალური სტატისტიკა, ერთი მხრივ, უმუშევრობისა და დასაქმების არასრულყოფილ სურათს გვიჩვენებს და მეორე მხრივ, ხელის შემშლელი ფაქტორია ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის, სათანადო ინფორმაციის არფლობის გამო. ასევე, მნიშვნელოვანია ევროკავშირში სამუშაო ძალის შესწავლის სტანდარტების დანერგვა, რომელიც გაცილებით რეალურ სურათს გვიჩვენებს, რადგან აღნიშნული სტანდარტებით გამოკვლევა არასრული დასაქმების და ფარული უმუშევრობის შესწავლას ითვალისწინებს. მათ შორის, შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ძალის მიღმა ყოფნის მიზეზების გამოკვლევასაც გულისხმობს“[4]

საქართველოში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კერძო სექტორი ასაქმებს, ამიტომ დასაქმების მაჩვენებლის ზრდა პირდაპირ კავშირშია კერძო სექტორის აქტივობის ზრდასთან. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს დავინახავთ, რომ 2010 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ინვესტიციები იყო, რომლის უდიდეს ნაწილს - 70%-ზე მეტს - კერძო ინვესტიციები შეადგენდა. სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულება აძლიერებს უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირების ტენდენციასთან 2010-2016 წლებში. „2012 წლიდან, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ძირითადად საგარეო ეკონომიკური შოკების ზეგავლენის შედეგად, ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, რაც მიუთითებს, რომ ბიზნეს სექტორის ზრდა გარკვეულწილად ჩამორჩება პოტენციურ შესაძლებლობას და შესაბამისად მის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდაზე გავლენა დამატებით პოტენციალს შეიცავს. ამასთან, 2017 წლის დასაწყისიდან საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებისა და ნეგატიური ფაქტორების შერბილების შედეგად, გაუმჯობესდა

[4] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 8



წყარო: საქსტატი

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გაიზარდა კერძო სექტორის აქტივობა, რაც დადებითად იმოქმედებს დასაქმების მაჩვენებელზე 2017 წლის განმავლობაში. ეს პროცესი უკვე აისახა 2017 წლის მეორე კვარტალის დასაქმების მაჩვენებელზე ბიზნეს სექტორში, სადაც დასაქმება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.0%-ით არის გაზრდილი. ბოლო წლებში დაფიქსირებულმა ეკონომიკურმა ზრდამ ასევე ხელი შეუწყო უმუშევრობის დონის შემცირებას. 2009 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 11.8% შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლებში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდა დიდწილად მთლიანი პროდუქტიულობის ზრდით იყო გამოწვეული.“[5]

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს დავინახავთ, რომ უმუშევრობის დონის შემცირებას ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობით სამუშაო ძალაზე შექმნილი დამატებითი მოთხოვნა განაპირობებდა. საქსტატი ასევე გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში შრომისუნარიანი მოსახლეობა კლების ტენდენციას განიცდის, რაც განპირობებულია ზოგადად

[5] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 4.

ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებით, მათ შორის გაზრდილი მიგრაციით. „2016 წელს გასულ წელთან შედარებით, ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობა1 0.6%-ით შემცირდა და მოსახლეობის აქტიურობის დონეში2 შესაბამისად 0.4 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა. აქტიურობის დონისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება დაფიქსირდა 2016 წელსაც, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა 2016 წლის დასაქმების დონის მაჩვენებელზე. 2016 წელს დასაქმების დონემ 59.5% (1 763.3 ათასი ადამიანი) შეადგინა, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან (1 779.9 ათასი დასაქმებული) შედარებით. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.1 პროცენტული პუნქტით. აღსანიშნავია, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება უკავშირდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს, რომლის მიხედვით ზოგადად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.“[6]

ჩვენი ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენდა დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკის შესწავლა **რეგიონულ ჭრილში.** ჩვენთვის საინფორმაციო ბაზას ისევ წარმოადგენდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც „2016 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლის რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და აჭარის ა.რ.-ში, შესაბამისად 2.5 და 2.1 პროცენტული პუნქტით. 2016 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით შემცირებულია

[6] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 6



წყარო: საქსტატი

საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირებში 16.5%-ით (2016 წ.- 33.4 ათასი ადამიანი; 2015 წ. - 40.0 ათასი ადამიანი), მაშინ, როცა ანალოგიურ პერიოდში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე პირებში გაზრდილია 1.1%-ით (2016 წ. - 92.8 ათასი ადამიანი; 2015 წ. - 91.8 ათასი ადამიანი). "[7]

1.2. თვითდასაქმების თავისებურებები საქართველოში

„დასაქმებულები სტატუსის მიხედვით ორ კატეგორიად იყოფა: დაქირავებულები და თვითდასაქმებულები. ასევე, საქსტატის მიერ შინამეურნეობების გამოკვლევის დროს, პირები რომლებსაც არ სურთ სამსახურის დასახელება, გაურკვეველთა კატეგორიაში ხვდებიან. დაქირავებით დასაქმებული შემდეგი სახით განიმარტება "15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. ასევე, პირი რომელსაც

[7] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 10



აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს", ხოლო თვითდასაქმებულია პირი, რომელიც საკუთრება გააჩნია ან მის საქმიანობა დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან. ასეთი პირების საქმიანობა ძირითადად შინამეურნეობაში მუშაობას უკავშირდება."[8]

დასაქმებაზე და უმუშევრობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტორზე, რომ „ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. „საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობს. სულ დასაქმებულია დაახლოებით 1,7 მილიონი ადამიანი, აქედან დაახლოებით 1 მილიონი (60%) თვითდასაქმებულია."[9]

აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს პრაქტიკულად არ შეცვლილა, რაც უპირატესად განპირობებულია 2016 წელს 2015 წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით (2016 წ. – 262.2 ათასი კაცი, 2015 წ. – 274.9 ათასი კაცი). ამასთან, თვითდასაქმებაში საკმაოდ მაღალია სოფლის

[8] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 9

[9] უმუშევრობის პრობლემა. ბესო ნამჩავაძე. Forbes Georgia. 18 ნოემბერი 2015 წელი. http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema გადამოწმებულია 27.05.2019



მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, რომელშიც თვითდასაქმების მაჩვენებელი 47.7%-ს შეადგენს. 2016 წელს, გასულ წელთან შედარებით, უმუშევრობის კლების ტენდენციასთან ერთად დასაქმების კლების ტენდენცია დაფიქსირდა როგორც დაქირავებით დასაქმებულთა, ასევე თვითდასაქმებულთა რაოდენობაში. კერძოდ, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა -1.1%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა - 0.7%-ით. 2016 წელს თვითდასაქმებულებისა და დაქირავებით დასაქმებულების ხვედრითმა წილმა საერთო დასაქმებაში შესაბამისად 57.3% და 42.3% შეადგინა."[10]

საქსტატის მიერ თვითდასაქმებულთა კატეგორიაში აღირიცხული პირები დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობის სექტორში, ძირითადად საოჯახო მეურნეობებს ვგულისხმობთ, ამიტომ ისინი არ იღებენ სახელმწიფოსაგან ფიქსირებულ ხელფასს და ითვლებიან საკუთარ მეურნეობებში უსასყიდლოდ მომუშავე პირებად. „მაგალითად, სასოფლო ტიპის დასახლებაში მცხოვრები შრომისუნარიანი პირი, რომელიც ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

[10] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 7

მიწას, რომელსაც ამუშავებს და იღებს შემოსავალს ნატურით ან ფულადი ფორმით. საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას, ძირითადად ეს პირები თავს უმუშევრად მიიჩნევენ, რადგან მათი საქმიანობა დაქირავებით დასაქმებულისგან განსხვავდება. საქართველოში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და 2017 წლის დასაქმების სტატისტიკაში, თვითდასაქმებამ 51.7% შეადგინა. მაშინ, როცა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, ევროპისა და ცენტრალური აზიის საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში 27.1%-ია, ხოლო ამავე რეგიონის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში - 18.8%. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, აქ თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი 15.9%-ს შეადგენს."[11]

საერთაშორისო სტანდარტებით ქვეყანაში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი ცხოვრების დონის და განვითარების შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია და ისინი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. რაც უფრო განვითარებული და მაღალი შემოსავლის მქონეა ქვეყანა, მით ნაკლებია თვითდასაქმებულთა რაოდენობა. მსოფლიო სტანდარტით „მთლიან დასაქმებაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი 45.6%-ს შეადგენს. დაბალი შემოსავლის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი, 78.4%-ია. ხოლო, მაღალი შემოსავლის ქვეყნებში კი - 13.9%. მსოფლიოს საშუალოზე დაბალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი 65.4% და 34.6% შეადგენს. აფრიკის კონტინენტზე თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში 69.2%-ია, როცა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 17.8%. ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში 36.7%, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე კი - 10.4%-ს შეადგენს."[12]

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა წილის შემცირებას მთლიან დასაქმებაში, თუმცა ჯერ-ჯერობით

---

[11] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 10

[12] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 10

სერიოზული მაჩვენებლები არ გვაქვს. „საერთო ჯამში, 1998-2017 წლებში, თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში, ყოველწლიურად საშუალოდ 0.3% პუნქტით იკლებს, რაც საკმაოდ დაბალი ტემპია. გარდა ამისა, თვითდასაქმებულების მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი შინამეურნეობის ფარგლებში მოიხმარება და მათი წვლილი მთლიან ეკონომიკაში დაბალია. ესე იგი, ამ პირების საქმიანობა დაბალპროდუქტიული და დაბალშემოსავლიანია. აღნიშნულს ადასტურებს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის დაბალი წილი (დასაქმებულთა რაოდენობის მიუხედავად) და ამ სექტორის რეალური ზრდის ტემპის დაბალი მაჩვენებლები. საბოლოო ჯამში, შეიძლება თქვას, რომ ეს არსებული სიღარიბის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია.“[13]

საერთაშორისო სტანდარტით, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში თვითდასაქმება სულაც არ გულისხმობს დაბალ ანაზღაურებას და სათაკილო სამსახურს. ამ კატეგორიაში არიან იმდმეწარმეები, კომპიუტერული მომსახურების სპეციალისტები, სხვადასხვა სფეროს კონსულტანტები, არქიტექტორები და ა.შ. კონკრეტულ შემთხვევაში მათი თვითდასაქმებულობა სწორედ რომ განაპირობებს მათ მაღალ ანაზღაურებას, არ უნდათ დიდ ფირმებში მუშაობა და მუშაობენ ინდივიდუალურად. „თუმცა, შრომის ბაზრის დერეგულაციამ და თავად შრომის ორგანიზების სტრუქტურულმა ცვლილებამ, გარკვეული ტრანსფორმაცია გამოიწვია თვით განვითარებულ ქვეყნებშიც კი. კერძოდ, თვით-დასაქმებულებს ამჟამად მიეკუთვნებიან არამხოლოდ მაღალ-ანაზღაურებადი ფინანსური კონსულტანტები და პროგრამისტები, არამედ დამლაგებლები, ტაქსისტები, მანქანის მრეცხავები და ა.შ. ამ პროფესიებს განვითარებულ სახელმწიფოებში მეტწილად მიგრანტები იკავებენ, რადგან ისინი ნაკლებ ანაზღაურებადი და ასევე არც თუ ისე პრესტიჟულია. საქართველოში ამ მხრივ ვითარება ბევრად უფრო მწვავეა. ქართველ თვით-დასაქმებულთა სექტორულ განაწილებას, ქვემოთ მოცემული დიაგრამა კარგად

[13] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 10

გამოხატავს. როგორც დიაგრამაზე ჩანს, თვით-დასაქმებულთა 83%-ი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რას ნიშნავს სოფლის მეურნეობაში დასაქმება? მაგალითად, თუ თქვენ ცხოვრობთ სოფლად, გაქვთ მცირე ზომის მიწა, სადაც მოგყავთ სიმინდი და გყავთ საქონელი და ჰყიდით რძეს, თქვენ უკვე დასაქმებულად, უფრო კონკრეტულად კი თვით-დასაქმებულად ითვლებით. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი რბილად რომ ვთქვათ, მდიდრულად არ ცხოვრობს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დარგში შემოსავლები ყველაზე დაბალია. ამას ემატება ისიც, რომ სოფლის მეურნეობა არის ყველაზე ნაკლებად პროდუქტიული დარგი, რომლის წილი მთლიან ეკონომიკაში მხოლოდ 8%-ია. ეს იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულთა დაახლოებით 50% სოფლის მეურნეობაში თვით-დასაქმებულად ითვლება."[14]

1.3. დამსაქმებლები-კერძო და საჯარო სექტორი

საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კერძო სექტორი ასაქმებს. „ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი დასაქმების 83.4%-ს შეადგენს (2017 წელი). შესაბამისად, ეკონომიკის განვითარება და კერძო ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობა უმუშევრობის შემცირების აუცილებელი წინაპირობაა. მაგალითად, ვნახოთ 2010-2014 წლებში არსებული ეკონომიკის ზრდის ტემპი (განსაკუთრებით, 2010-2012 წლებში არსებული საშუალო 6.6%-იანი ზრდა), როდესაც კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად, საშუალოდ 24.4 ათასი დასაქმებულით იზრდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს 2015-2016 წლებში, წინა პერიოდთან შედარებით არსებული ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი (2.9% და 2.8%), რაც 2016-2017 წლის კერძო სექტორის დასაქმებაზე აისახა.

[14] უმუშევრობის ნეოლიბერალური წყევლა. https://1tv.ge/analytics/umushevrobis-neoliberaluri-wyevla/ გადამოწმებულია 30.02,2019



დიაგრამა 2: თვითდასაქმებულების წილი მთლიან დასაქმებულებში,EUROSTAT-ის და GEOSTAT-ის ინტეგრირებული მონაცემები.



აღნიშნულ წლებში კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 24.4 ათასით შემცირდა. 2017 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესება სავარაუდოდ 2018 წლის კერძო სექტორის დასაქმების მაჩვენებლებზე აისახება. გარდა ამისა, 2017 წელს კერძო სექტორის დასაქმების ფარდობითი მაჩვენებლებიც შემცირებულია. 2017 წელს მთლიან დასაქმებასა და შრომისუნარიან მოსახლეობაში კერძო სექტორის წილი 0.8% - 0.8% პუნქტით შემცირდა. ბოლო ათი წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი საშუალოდ 0.4% პუნქტით იზრდებოდა, თუმცა აღსანიშნავია 2007

წლიდან 2013 წლამდე არსებული საშუალო 0.6%-პუნქტიანი ზრდა, ხოლო 2013 წლიდან 2017 წლამდე კი - 0.1%-პუნქტიანი ზრდა."[15] 2012-2016 წლებში განთავსებული ვაკანსიების შესახებ საჭირო ინფორმაცია შეგვიძლია მოვიპვოთ კერძო დასაქმების სააგენტოს hr.ge-ის ვებ-გვერდზე, სადაც ისინი წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ასევე პროფესიების კლასიფიკაციით. სააგენტოს hr.ge-ის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2012-2016

[15] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 13

სამუშაო ძალის მოთხოვნა საქმიანობის მიხედვით (%)

საქმიანობათა სახეები	მოთხოვნის კომპონენტის ხვედრითი წილი (%)				
	2012	2013	2014	2015	2016
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	21,1	22,3	23	22,9	23,5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	19,5	17,9	19,3	19,7	21,1
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა	12,8	14,3	16,6	16,2	16,2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობა	7	6,7	5,8	6,8	7,2
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	5,8	7,7	6,7	6,2	6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	4,2	4,6	5,3	5,7	5,1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	6,2	6,1	6,3	5,2	4,9
დანარჩენი სხვა	23,4	20,4	17	17,3	16

წლებში გამოცხადებულ ვაკანსიებში მაღალი ხვედრითი წილი ვაჭრობის სფეროს უკავია. 2012 წელს 21.1%-ს შეადგენდა, რაც 2016 წლისთვის 23.5%-მდე გაიზარდა.

„საქმიანობის სახეების მიხედვით დაბალი მოთხოვნის რაოდენობაა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებში, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს ამ სფეროს ხვედრითი წილი 5.1%-ია, რაც 2012 წელს 4.2% იყო. ასევე, დაბალი მაჩვენებელია სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სფეროებში. 2016 წელს მათი ხვედრითი წილი 6% იყო. პროფესიის მიხედვით გამოცხადებული ვაკანსიების უმეტესობა გაყიდვების სფეროს მუშაკებზეა. 2016 წელს მათი წილი 24.5%-ია, რაც 2012 წლიდან 7.7% პუნქტით არის გაზრდილი. 2016 წელს გამოქვეყნებულ ვაკანსიებში უმეტესი პოზიცია გაყიდვების კონსულტანტი/მენეჯერი/აგენტის, საკრედიტო/სესხის ექსპერტის, მოლარე ოპერატორის, დისტრიბუტორის, მიმტანის, დამლაგებლის პოზიციებს წარმოადგენს. წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კერძო სექტორში სამუშაო ძალის მოთხოვნა ძირითადად მომსახურების სფეროს უკავშირდება, რასაც

სამუშაო ძალის მოთხოვნა პროფესიის მიხედვით (%)

პროფესიის მიხედვით	მოთხოვნის კომპონენტის ხვედრითი წილი (%)				
	2012	2013	2014	2015	2016
გაყიდვების სფეროს მუშაკები	16,8	19,6	22,9	22,2	24,5
ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროსთან ასოცირებული პროფესიონალები	8,8	10,3	12,1	12,9	14,4
ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროს პროფესიონალები	11,4	11,5	10,1	8,5	7,9
ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	7,7	7,0	7,0	7,5	6,5
ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები	4,1	4,3	5,0	5,3	4,9
წარმოებისა და სპეციალური მომსახურებების მენეჯერები	6,5	5,2	5,1	4,9	4,8
ინდივიდუალური მომსახურების მუშაკები	4,6	4,5	3,6	4,0	4,3
მომხმარებელთა მომსახურების სფეროს მუშაკები	2,6	3,1	3,2	3,8	4,2
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს პროფესიონალები	5,3	5,4	5,6	4,5	4,0
სხვა დანარჩენი	32,4	29,1	25,3	26,5	24,6

ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ამ მხრივ, მოთხოვნა ვაჭრობის მიმართულებით იზრდება."[16]

მეორე მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს საჯარო სექტორია, ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის დასაქმებულები, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუციებში და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საწარმოებში მუშაობენ. „საჯარო სექტორში ყველაზე ნაკლები დასაქმებული 2013 წელს იყო, როცა ამ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა 12.2%-ით შემცირდა და მათი რიცხვი 252.1 ათას პირს შეადგენდა. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2013 წლის შემცირების შემდეგ, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ისევ იზრდება და უკვე 2017 წელს ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წელს არსებულ მაჩვენებელზე მხოლოდ 3.2 ათასი პირით ნაკლებია."[17] საჯარო სექტორში დასაქმების შესაფასებლად გარდა აბსოლუტური

[16] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 14

[17] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 15

მონაცემებისა, ფარდობითი მაჩვენებლებსაც განიხილავენ. აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებაში, საჯარო სექტორის ხვედრითი წილი გამოკვეთილი, სტაბილური კლების ტენდენციით არ ხასიათდება. „თუმცა, 2007 წელთან შედარებით 2017 წელს ფარდობითი მაჩვენებელი შემცირებულია. ასევე, აღსანიშნავია წლიდან წლამდე საჯარო სექტორში დასაქმებულთა ცვლილების ტენდენცია. ამ მხრივ, 2013 წელს ყველაზე დიდი 12.2%-იანი კლება იყო, რაც შემდეგ წელს ისევ გაიზარდა, ხოლო ყველაზე მაღალი ზრდა 2015 წელსაა, როცა წინა წელთან შედარებით საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 10.7%-ით გაიზარდა.მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებული საჯარო სექტორის დასაქმება სხვა ქვეყნების მონაცემებს შევადაროთ. ქვეყნებს შორის საჯარო სექტორის დასაქმების დონის შესადარებლად მთლიან დასაქმებაში ამ სექტორის წილი გამოიყენება. აღნიშნული ფარდობითი მაჩვენებლით სკანდინავიის ქვეყნები გამოირჩევა, სადაც მთლიან დასაქმებაში საჯარო სექტორის წილი 30%-ს აღწევს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი იაპონიაშია, სადაც 2015 წელს საჯარო სექტორის წილი 5.9% იყო, რაც ბოლო წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება. OECD -ის8 წევრ ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელი კი 18.1%-ია, რაც 2007 წელთან შედარებით 0.2% პუნქტითაა გაზრდილი. თუმცა, OECD-ს საშუალო მაჩვენებელს ქვემოთ მისი წევრი 17 ქვეყანა იმყოფება, ხოლო ზემოთ 12 ქვეყანა. აღნიშნული 17 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 13.5%-ს შეადგენს, ხოლო 12 ქვეყნის კი - 22.9%-ს.“[18]

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით მაღალი და სტაბილურია „მაშინ, როცა მთავრობის მთლიანი ხარჯები მშპ-ს 29.6%-ია, ამ ხარჯების გაწევისთვის დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი დასაქმების 16.6%-ია. მაგალითად, იაპონიასა და კორეაში მთავრობის მთლიანი ხარჯები საშუალოდ 35%-ია, ხოლო საჯარო სექტორის დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში კი - 5.9% და 7.6%.

---

[18] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 15



პორტუგალიაში საჯარო სერვისის წარმოება/მიწოდებისთვის მთავრობის მთლიანი ხარჯები მშპ-ს 45.8%-ია, რომლის წარმოება/მიწოდებაში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი დასაქმების 15.2%-ს შეადგენს. OECD-ის ქვეყნებში საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელს ქვემოთ არსებულ 17 ქვეყნის მთლიანი მთავრობის ხარჯები მშპ-სთან მიმართებით საშუალოდ 40-45% მერყეობს, ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მთლიანი მთავრობის ფუნქციების განხორციელებაში უფრო მეტი ადამიანური რესურსია გამოყენებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი მაღალ ნიშნულს იკავებს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ არსებული მდგომარეობის გამოსწორება ელექტრონული მმართველობის (E-government) გაუმჯობესებით არის შესაძლებელი, ეს ერთი მხრივ, ზრდის სერვისებზე ხელმისაწვდომობას და მის ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ, ამცირებს საჯარო სერვისების წარმოება/მიწოდებისთვის საჭირო ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს.“[19]

[19] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 15

თავი II
უმუშევრობისა და დასაქმების სხვადასხვა ასპექტები

2.1. უმუშევრობის ასაკობრივი ჭრილი და შრომის ანაზღაურება

უმუშევრობის სტრუქტურაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა **ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონეა.** უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (31.9%), რაც 5.7 პროცენტული პუნქტით მაღალია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ასევე მაღალია 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში და 2015-2016 წლების მონაცემებით შესაბამისად - 30.8%-ს და 30.5%-ს შეადგენს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საქართველოში ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ ისინი აწყდებიან ორი სახის პრობლემას: 1) შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და 2) მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, ამ კატეგორიაში მაღალია ფრიქციული უმუშევრობის წილი, რადგან ახალგაზრდებს მეტი დრო სჭირდებათ სასურველი სამუშაოს საპოვნელად. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.“[20]

[20] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 8



წყარო: საქსტატი

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემებს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იკვლევს, მათ შორისაა NEET-ის (young people not inemployment, education or training), რომლის „ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 31,2%-ია, მათ შორის 64,4% ქალები არიან. საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელს (13,1%) თითქმის 2,5-ჯერ აღემატება. 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები სტუდენტები არიან, რომლებმაც დაამთავრეს ან ამთავრებენ უნივერსიტეტს. სტუდენტები წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ ჯგუფს, რადგან არ გააჩნიათ საკმარისი პროფესიული მომზადება. 25_დან 29 წლამდე ახალგაზრდებს, ძირითადად, უკვე აქვთ გაკეთებული პროფესიული არჩევანი, მათ იციან რა უნდათ, უმრავლესობას საკუთარი ოჯახიც ჰყავს და საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს აყენებენ შემოთავაზებულ სამუშაოზე.“[21]

[21] საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობა ევროპის საშუალო მაჩვენებელს 2,5-ჯერ აღემატება. 02.10.2016 https://commersant.ge/ge/post/saqartveloshi-axalgazrdebis-umushevroba-evropis-sashualo-machvenebels-25djer-agemateba გადამოწმებულია 22.05.2019



ფოტო: საქსტატი

საქართველოს სტატიტისკის ეროვნული სამსახურის მიერ შემოთავაზებული მონაცემების მიხედვით „ასაკობრივ ჭრილში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი 20-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია. აღნიშნულ კატეგორიაში, 2002-2017 წლებში უმუშევრობის დონე საშუალოდ 35.4% იყო. მიუხედავად 2012 წლიდან არსებული კლებისა, ის მაინც მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს და 2017 წელს 29.6%-ს შეადგენს. ასევე, უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა 25-29 ასაკობრივი კატეგორია, სადაც უმუშევრობის დონე საშუალოდ 27.2%-ია, რაც 2010 წლიდან კლებადია. აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, 15-25 წლამდე საშუალო უმუშევრობის დონე, 2017 წლის მონაცემებით 16.8%-ია, ხოლო 25 წლის და ზემოთ კი - საშუალოდ 6.7%. საქართველოში 15-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, 2017 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე დაახლოებით 28.4%-ია, ხოლო 25 წლიდან და ზემოთ კი - დაახლოებით 12.4%. მათ შორის, ყველაზე დაბალი, 3.6%-იანი უმუშევრობის დონე 65 წლისა და ზემოთ ასაკობრივ კატეგორიაშია. ასევე, 40-44

ასაკობრივ კატეგორიაში უმუშევრობის დონე მთლიანად უმუშევრობის დონეზე დაბალი, 13.5%-ს შეადგენს.“[22]

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები მეტნაკლებად ყველა ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ საქართველოსაგან განსხვავებით განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში სტუდენტებს დასაქმების მეთი შესაძლებლობები აქვთ, მათ აქვთ პირობები იმისა, რომ ლექციების დასრულების შემდეგ მაღაზიებში გამყიდველად, გაზეთების დამრიგებლად ან სხვა შედარებით მსუბუქ სამუშაოზე იმუშაონ. დღიური სამუშაო განაკვეთი მხოლოდ ოთხი საათია, რადგან სტუდენტებს მეცადინეობის დროც დარჩეთ.

„ყველაზე აქტიური 40-44 ასაკობრივი კატეგორიაა, სადაც აქტიურობის დონე 2002-2017 წლებში საშუალოდ 83.3%-ია, ხოლო აღნიშნულ პერიდოში მთლიანად აქტიურობის დონე საშუალოდ 67%-ს შეადგენს. ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ აქტიურობის დონე ყველაზე მაღალი 85.7% მოსახლების 25-54 ასაკის კატეგორიაშია. დასაქმების დონე შრომისუნარიან მოსახლეობაში დასაქმებულთა ხვედრით წილს უჩვენებს. ამ მხრივ, მაღალი დასაქმების მაჩვენებლით 40-54 ასაკობრივი კატეგორია გამოირჩევა. მათ შორის, 45-49 ასაკობრივი კატეგორიის დასაქმების დონე 2002-2017 წლებში საშუალოდ 72.5%-ია. 20-24 ასაკობრივ კატეგორიაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 34.5%, ხოლო 25-29-ში კი საშუალოდ 52.9-ს შეადგენს. ჯამში, 2002-2017 წლებში ყველა კატეგორიის დასაქმების დონე საშუალოდ 54%-ია. ევროკავშირის ქვეყნებში 15-64 ასაკობრივი კატეგორიის საშუალო დასაქმების დონე 67.7%-ია, ხოლო 25-54 კი - 79.7%.“[23]

შრომის ბაზრის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი **შრომის ანაზღაურებაა.** ქართულ სინამდვილეში „მკვეთრი განსხვავებაა ხელფასებს შორის ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, რაც მეტყველებს ზოგიერთ

---

[22] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 16

[23] საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 17



წყარო: საქსტატი

სექტორში დაბალ შრომის ნაყოფიერებაზე. მაღალია ანაზღაურება შემდეგ სექტორებში: საფინანსო საქმიანობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება. დაბალია ანაზღაურება შემდეგ სექტორებში: განათლება, სასტუმროები და რესტორნები, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა."[24]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის I კვარტლის მონაცემებით „2019 წლის I კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.5 ლარით გაიზარდა და 1092.7 ლარი შეადგინა. 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხელფასების ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა სექტორში. საქმიანობების სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა - 1894.3 ლარი (წლიური ზრდა -17.8 პროცენტი);

[24] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 11



- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 1799.0 ლარი (წლიური ზრდა 3.2 პროცენტი);
- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 1751.8 (წლიური ზრდა 3.9 პროცენტი).

2019 წლის I კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 876.1 ლარით, ხოლო კაცების - 1294.1 ლარით განისაზღვრა და ხელფასების წლიურმა ზრდამ შესაბამისად 58.0 და 22.4 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.“[25]

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელფასების სტატისტიკა 2019 წლის I კვარტალი. https://www.geostat.ge/media/24599/xelpasebis-statistika-17.06.2019.pdf გადამოწმებულია 20.05.2019

2.3. დასაქმების სექტორული ჭრილი

საქართველოში დასაქმების სექტორული ჭრილი ძალზედ მრავალფეროვანია და არათანაბარი. „სოფლის მეურნეობის სექტორში თავმოყრილია თვითდასაქმებულთა თითქმის ნახევარი. მრეწველობის სექტორში დასაქმება შეადგენს 7%-ს, ხოლო მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 40%-ს აჭარბებს. მომსახურების სექტორებს შორის, თავის მხრივ, გამოირჩევა ვაჭრობის (9%) და განათლების სექტორები (8%). რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს, დასაქმების ყველაზე მაღალი წილით ვაჭრობის (25%), მრეწველობის (19%) და მშენებლობის (11%) სექტორები გამოირჩევა. სოფლის მეურნეობის და განათლების სექტორებს ყველაზე დაბალი წილი უჭირავთ, რაც გამოწვეულია ამ სექტორებში თვითდასაქმების მაღალი დონით.“[26]

მრეწველობა

მრეწველობის სექტორი საქართველოში ასაქმებს შრომისუნარიანი მოსახლეობის 7%-ს, ხოლო ბიზნეს სექტორის დასაქმების 19%-ს. „მრეწველობის სექტორის დასაქმების ძირითადი ნაწილი დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, რომელიც მრეწველობის სექტორის დასაქმების დაახლოებით 70%-ს შეადგენს. საკვები პროდუქტების წარმოება და მეტალურგიული მრეწველობა ტრადიციულად დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ბიზნესის სტატისტიკის ახალი კლასიფიკაციის შესაბამისად, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებშია დასაქმებული. დამამუშავებელი მრეწველობის და ენერგეტიკის სექტორები ბოლო წლების განმავლობაში გამოირჩეოდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, რამაც ხელი შეუწყო პროდუქტიულობის ზრდას ამ სექტორებში. მთლიანად ეკონომიკაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიურ ნომინალურ ხელფასთან შედარებით მაღალია შრომის ანაზღაურება

[26] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 14.



წყარო: საქსტატი

ენერგეტიკის და სამთომოპოვებით სექტორში.ზრდით ხასიათდება მსუბუქი მრეწველობის სფერო, განსაკუთრებით ტექსტილის ინდუსტრია, რაც ამ დარგში კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას შემდეგ წლებშიც დააგენერირებს."[27]



წყარო: საქსტატი

[27] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 14.



წყარო: საქსტატი

ვაჭრობა

ვაჭრობის სექტორი საქართველოში „უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 9%-ს და ბიზნეს სექტორის დასაქმების 25%-ს. 2010-2016 წლებში ვაჭრობის სექტორმა შეიტანა ყველაზე მაღალი წვლილი ბიზნეს სექტორის დასაქმების ზრდაში. აღნიშნულ სექტორში მთლიანი დასაქმების და ბიზნეს სექტორის დასაქმების მონაცემები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ამ სექტორში არაფორმალურ დასაქმებაზე მიანიშნებს, თუმცა, სხვაობა თანდათან მცირდება, რაც არაფორმალურიდან ფორმალურ დასაქმებაში გადასვლის შედეგია. ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, ვაჭრობის სექტორის დასაქმების 60%-ზე მეტი მცირე ზომის საწარმოებზე მოდის. ყველაზე მცირე ნაწილი კი საშუალო ზომის საწარმოებშია დასაქმებული.“[28]

ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა დიდი წილი მოდის საცალო და საბითუმო ვაჭრობაზე, მცირე წილითაა წარმოდგენილი ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტზი. როგორია ამ სექტორში დასაქმებულთა ტერიტორიული მრავალფეროვნება? მათი უდიდესი ნაწილი თბილისში, ბათუმში და ქუთაისში ვაჭრობს.

[28] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 14



წყარო: საქსტატი

მშენებლობა

მშენებლობის სექტორი საქართველოში „მთლიანი დასაქმების 4%-ს და ბიზნეს სექტორის დასაქმების 11%-ს შეადგენს. ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული. მშენებლობის სექტორი გამოირჩეოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით და პროდუქტიულობის დონე ამ სექტორში ბიზნეს სექტორის საშუალო პროდუქტიულობის დონეზე მაღალია. პროდუქტიულობასთან ერთად, მაღალია აღნიშნულ სექტორში საშუალო შრომის ანაზღაურება. 2017-2020 წლებში, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობა და ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება. მხოლოდ გზების მშენებლობა-განვითარების მიმართულებით დაგეგმილია 9 მლრდ. ლარზე მეტი მოცულობის საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ხოლო წყლის მიწოდების ქსელის განვითარება-რეაბილიტაციის კუთხით - 1.8 მლრდ. ლარის ინვესტიცია.“[29]

[29] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 18



წყარო: საქსტატი

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი საქართველოში „უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 5%-ს და ბიზნეს სექტორის დასაქმების 10%-ს. ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი მსხვილი ზომის საწარმოებშია დასაქმებული, თუმცა, შემცირების ტენდენციით ხასიათდება მათი წილი ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორის დასაქმებაში. საქმიანობის სახეების მიხედვით კი დასაქმებულთა ნახევარზე მეტი სახმელეთო ტრანსპორტის საქმიანობაზე, ყველაზე მცირე ნაწილი კი - 1%-ზე ნაკლები, საჰაერო ტრანსპორტზე მოდის. ფოსტისა და კავშირგაბმულობის სექტორში აღნიშნული სფეროს დასაქმებულთა 20%-იადასაქმებული.“[30]

2010-2016 წლებში ინვესტიციების საშუალოწლიური შემოდინების მხრივ წამყვანი პოზიციები სწორედ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს ეკავა და გამოირჩეოდა განსაკუთრებული წილით მთლიან ინვესტიციებში.

სასტუმროები და რესტორნები

სასტუმროები და რესტორნები სექტორი საქართველოში „ მთლიანი დასაქმების 1%-ს, ხოლო ბიზნეს სექტორის დასაქმების 5%-ს შეადგენს. სასტუმროებისა და

[30] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 19



წყარო: საქსტატი

რესტორნების სექტორის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში საშუალოდ 0.2 პპ-ს უტოლდება. ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია და შესაბამისად, მოთხოვნაც მზარდია სამუშაო ძალაზე სასტუმროებისა და რესტორნების მხრიდან. ბიზნეს სექტორის სტატისტიკის მიხედვით, 2016 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 132%-ით არის გაზრდილი 2010 წელთან შედარებით. დარგის განვითარებისა და ტურიზმის ზრდის კვალდაკვალ, მოსალოდნელია დასაქმებულთა რაოდენობის შემდგომი ზრდა. ბიზნეს სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული, რეგიონულ ჭრილში კი უდიდესი ნაწილი თბილისში, აჭარასა და იმერეთშია დასაქმებული.“[31]

საფინანსო სექტორი

„საფინანსო სექტორი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია და მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში საშუალოდ 0.4 პპ-ს შეადგენს. საფინანსო სექტორი მთლიანი დასაქმების 2%-ს უზრუნველყოფს, შრომის ანაზღაურება კი საშუალო ხელფასს თითქმის ორჯერ აღემატება. საფინანსო სექტორის დივერსიფიცირებულობის ზრდასა

[31] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 20



წყარო: საქსტატი

და შემდგომი განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე. “[32]

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებაა 2019 წელს დაემატა საპენსიო რეფორმის განხორციელების შედეგად აკუმულირებული საპენსიო აქტივების მართვა. ეს პროცესები გაზრდის მოთხოვნას ახალ სპეციალიზებული პროფესიის და მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე. აღსანიშნავია სადაზღვევო ბაზრის მასშტაბების ზრდაც.

[32] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 22

თავი III

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა

3.1. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მაგალითები ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც პრიორიტეტულია ნებისმიერი ეკონომიკური პოზიციის მქონე სახელმწიფოსათვის. „სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა განისაზღვრება ორი მიმართულებით: აქტიური და პასიური პოლიტიკა. აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია. აქტიური პოლიტიკისგან განსხვავებით, პასიური პოლიტიკის მიზანი არ არის სამუშაო ძალის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება. პასიური პოლიტიკა ორიენტირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრების კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ. უმუშევრობის დაზღვევა და ვადამდელ პენსიაზე გასვლის უზრუნველყოფა პასიური პოლიტიკის ტიპიური ინსტრუმენტებია.“[33]

საერთაშორისო სტანდარტებით დასაქმების აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებია:

- საჯარო დასაქმების მომსახურებები (Public Employment Services)
- პროფესიული გადამზადების პროგრამები (Labor Market Training)
- დასაქმების წახალისება (Employment Incentives)

---

[33] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

- შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (Sheltered and Supported Employment and Rehabilitation)
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა (Direct Job Creation)
- სტარტაპების წახალისება (Start-up Incentives)

ხოლო დასაქმების პასიური სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებია:

- უმუშევრობის დაზღვევა
- ვადამდელი პენსია

საჯარო დასაქმების მომსახურებები (Public Employment Services)-მისი მიზანია „პოტენციურ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ინფორმაციული ნაკადების სწრაფი დენადობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ინსტრუმენტი ხშირად მოიცავს ღია საინფორმაციო პორტალების უზრუნველყოფას, სამუშაოს მაძიებელთა ინდივიდუალური პროფილების შექმნას, სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელებას, სამუშაოს ძებნის ხარჯების ფინანსურ უზრუნველყოფას და ა.შ. აღნიშნული პროგრამები საბოლოო ჯამში გათვლილია შრომის მაძიებელთა ძალისხმევისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე."[34]

პროფესიული გადამზადების პროგრამები (Labor Market Training)- მოიცავს „ინსტიტუციურ და სამუშაო ადგილზე გადამზადების, ასევე ინტეგრირებულ და ხელობის შემსწავლელ პროგრამებს. მათი მთავარი მიზანია ერთის მხრივ შრომის მაძიებელთა ცოდნის კაპიტალის გაზრდა და მეორეს მხრივ დასაქმების ბაზარზე პროფესიებთან დაკავშირებული მოთხოვნისთვის მიწოდების უზრუნველყოფა."[35]

დასაქმების წახალისება (Employment Incentives) - მოიცავს „დასაქმების სუბსიდირების, სამუშაო ადგილების შენარჩუნების, სამუშაო ადგილების როტაციისა და გადანაწილების ინსტრუმენტებს. პროფესიული გადამზადების პროგრამებისგან

---

[34] შამუგია ასმათ. თანამედროვე შრომის ბაზარი და დასაქმების პრობლემა საქართველოში. პ.გუგუშვილის ინსტიტუტის შრომათა კრებული. #8. 2015 წ. გვ. 481-484

[35] აბესაძე რამაზ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ჟურნალი-ეკონომისტი. #2. ტ XIII. 2017 წ. გვ. 6-21

განსხვავებით, დასაქმების წახალისების ინსტრუმენტები ზეგავლენას ახდენენ სამუშაო ძალის მოთხოვნაზე."[36]

შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის (Sheltered and Supported Employment and Rehabilitation) პროგრამები „გათვლილია საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებზე. მათი მიზანია შრომის უნარს მოკლებული ადამიანების ინტეგრირება სამუშაო ძალაში, ასევე დამსაქმებლების მოტივირება და ხელშეწყობა ინტეგრაციის პროცესში მათი მაქსიმალური ჩართვისთვის."[37]

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის (Direct Job Creation) პროგრამები „ორიენტირებულია ან საზოგადოებრივად სასარგებლო დასაქმების უზრუნველყოფაზე ან კერძო სექტორში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭრაზე, სახელფასო სუფსიდიების უზრუნველყოფის გზით."[38]

სტარტაპების წახალისების (Start-up Incentives) პროგრამები ორიენტირებულია კერძო მეწარმეობის წახალისებაზე საწყისი კაპიტალის უზრუნველყოფით. ასეთი პროგრამები მიმართულია ახალი საქმიანობის დაწყების ან არსებული საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობაზე. როგორც აღვნიშნეთ, პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტებით სახელმწიფო აქტიურად არ ერევა შრომით ურთიერთობებში. „**უმუშევრობის დაზღვევის** მექანიზმი, დაზღვევის სქემაში მონაწილე ადამიანს, შეზღუდული დროის განმავლობაში, უხდის გარკვეულ თანხას. უმუშევრობის დაზღვევის გარდა, ხშირად ქვეყნებს აქვთ უმუშევრობის დახმარების პროგრამები, რომლებიც ვრცელდება ისეთ ადამიანებზე, რომელთაც არ აქვთ უმუშევრობის დაზღვევა ან დაზღვევის მოქმედებას ვადა გაუვიდა. რიგ შემთხვევებში გვხდება ე.წ. გაკოტრებასთან დაკავშირებული კომპენსაციები, როცა ადამიანები ვერ ღებულობენ ხელფასს მათი დამსაქმებელი ფირმების გაკოტრების გამო.

---

[36] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

[37] აბესაძე რამაზ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ჟურნალი-ეკონომისტი. #2. ტ XIII. 2017 წ. გვ. 6-21

[38] იგივე

ვადამდელი პენსიის პროგრამები ძირითადად გათვლილია ასაკოვან ადამიანებზე, რომელთაც დასაქმების ძალიან დაბალი შანსები აქვთ ან მათი ჩანაცვლება ახალგაზრდა სამუშაო ძალებით ხდება."[39]

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რომელ კონკრეტულ ინსტრუმენტს გამოიყენებს ქვეყანა ეს დამოკიდებულია ამ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. „დასაქმების მექანიზმის ოპტიმალური მოწყობის მზა რეცეპტი არ არსებობს. ოპტიმალური ინსტიტუციური უზრუნველყოფისთვის საჭიროა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც დაეფუძნება კონკრეტული ქვეყნის შრომის ბაზრის საჭიროებებს, ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის ანალიზს და საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებას. საქართველოსთვის დასაქმების მექანიზმის შემუშავების პროცესში საინტერესოა ლატვიისა და ესტონეთის, როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნების, სახელმწიფო დასაქმების სერვისების სტრუქტურებისა და საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მიმოხილვა და ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. საერთაშორისო კვლევითი ცემტრი-Kalvane (2015)13 აანალიზებს ლატვიის, ესტონეთისა და დანიის სახელმწიფო დასაქმების სერვისების მოდელებს."[40]

ლატვიაში დასაქმების პოლიტიკით სახელმწიფო აქტიურად თანამსრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საკუთარ ქვეუწყებებთან და სხვა სოციალურ პარტნიორებთან, ეს ურთიერთთანამშრომლობა შემოიფარგლება საკითხების განხილვითა და რეკომენდაციებით. „ლატვიის სდს-ის სტრუქტურა ორ დონიანია, იგი შედგება ცენტრალური ოფისისა და 28 რეგიონური ფილიალისაგან, რომელთა ხელმძღვანელები აგნარიშვალდებულნი არიან სდს-ის ცენტრალური მმართველობის

---

[39] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

[40] აჩუაშვილი ნ. კიკნაძე ნ. უმუშევრობა, როგორც მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. ჟურნალი-ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. #1(38). 2017 წელი. გვ. 236-241

წინაშე. ლატვიის სდს-ის საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო და სპეციალური ბიუჯეტებიდან, ასევე ევროკავშირის „სტრუქტურული ფონდები“-დან და სხვა მოზიდული საინვესტიციო პროექტებიდან.“[41]

ლატვიის დასაქმების სახელმწიფო სამსახური თავისი საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ინდივიდთა რაოდენობა;
- 6 თვის განმავლობაში აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ინდივიდთა შორის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ინდივიდთა შორის გრძელვადიან უმუშევართა პროცენტული წილი;
- 6 თვის განმავლობაში აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში ჩართულ ახალგაზრდათა შორის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შედეგად, უმუშევართა მიერ შევსებულ ვაკანსიათა პროცენტული მაჩვენებელი;
- იმ რეგისტრირებულ უმუშევართა უმუშევრობის ხანგრძლივობის მედიანური მაჩვენებელი, რომელთა დასაქმება მოხერხდა. თითოეული რეგიონული ფილიალისთვის მისაღწევი მიზნები ყოველწლიურად განისაზღვრება.

ესტონეთიც პოსტ საბჭოთა სივრცის წევრი ქვეყანაა და შესაბამისი რეფორმების დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების მიზნით ამ ქვეყანამაც განახორციელა. „ესტონური სდს არის დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუტი. მის მართვას ახორციელებს სამი აპარატი, რომლებიც დაკომპლექტებულია მთავრობის, პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. სამივე აპარატს გააჩნია თანაბარი უფლებები და ვალდებულებები. ესტონურ სდს-ის სტუქტურა შედგება სამი დონისაგან - ცენტრალური ოფისი, 15 რეგიონული ოფისი

[41] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

და 26 სერვის-ცენტრი. ესტონეთის სდს-ის საქმიანობა ფინანსდება ესტონეთის „უმუშევრობის დაზღვევის ფონდი“-საგან, ასევე სამთავრობო და ევროკავშირის „სტრუქტურული ფონდები“-დან. ფინანსური რესურსების გამოყენების მიზნებსა და მათ პროპორციებს განსაზღვრავს „უმუშევრობის დაზღვევის ფონდის“ სამმხრივი საბჭო.“[42]

ესტონეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახური თავისი საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ახლად-დარეგისტრირებულ უმუშევართა შორის 12 (6 ან 4) თვის განმავლობაში დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- უმუშევრობის დაზღვევის სარგებლის ახალ მიმღებთა შორის 12 (6 ან 4) თვის განმავლობაში დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- გრძელი ვადით (12 თვეზე მეტი) უმუშევართა შორის ბოლო 12 თვის განმავლობაში აქტიურ ღონისძიებებში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი;
- აქტიურ ღონისძიებებში შემოდინების მაჩვენებელი (საშუალო-თვიური შემოდინება);
- სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსი.

უნგრეთიც პოსტ საბჭოთა სივრცის წევრი ქვეყანაა და შესაბამისი რეფორმების დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების მიზნით ამ ქვეყანამაც განახორციელა. „დასაქმების მექანიზმის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. საწყის ეტაპზე უნგრეთის სდს შედგებოდა 20 საოლქო შრომის ცენტრისა და 170 ფილიალისაგან. შრომის ცენტრების მართვასა და კოორდინირებას ახორციელებდა „დასაქმების ოფისი“. 2011 წელს შრომის ცენტრებს სახელწოდება შეეცვალათ და მოხდა მათი საოლქო სამთავრობო ოფისების

[42] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

შემადგენლობაში გაერთიანება. სდს-ის სტრუქტურა კიდევ უფრო კომპლექსური გახდა, როდესაც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საჯარო დასაქმების პროგრამის კოორდინირება და ამ კუთხით საოლქო შრომის ცენტრებთან თანამშრომლობა. 2012 წელს შეიქმნა „ეროვნული შრომის ოფისი“, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ „ცენტრალური დასაქმების ოფისი“, „ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექცია“ და “პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ეროვნული ინსტიტუტი“. 2015 წელს სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის გავლის გარეშე „ეროვნული შრომის ოფისი“ დაიხურა და მოხდა მისი უფლებამოსილებების ორ სამინისტროს შორის განაწილება. დასაქმებასა და შრომის ბაზართან დაკავშირებული საკითხები მიეკუთვნა „ეროვნული ეკონომიკის“ სამინისტროს სამუშაო სფეროს. დღესდღეობით, პროფესიული გადამზადების ორგანიზებას ახორციელებს ახლადშექმნილი „ეროვნული პროფესიული გადამზადების ოფისი“.[43]

უნგრეთში სავალდებულო სოციალური დაზღვევის მექანიზმი მოქმედებს, რომელიც ფინანსდება დასაქმებულთა სახელფასო ანარიცხებიდან, ეს ანარიცხები თვითდასაქმებულებმაც უნდა გადაიხადონ. ქვეყანაში მოქმედებს უმუშევრების დახმარების 2 პროგრამა „სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება და “პენსიამდელ სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება, ეფუძნება. “სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარებით სარგებლობა შეუძლიათ უმუშევრებს, რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში მინიმუმ 360 დღე აქვთ ნამუშევარი. დახმარების მოცულობა შეადგენს პრედენდენტის ბოლო 4 კვარტლის საშუალო ხელფასის 60%-ს და ზედა ზღვარს წარმოადგენს მინიმალური თვიური ხელფასი (354 ევრო 2016 წელს). იმ შემთხვევაში თუკი შეუძლებელია საშუალო ხელფასის დადგენა, დახმარება შეადგენს მინიმალური ხელფასის 130%-ს. დახმარებით სარგებლობა შესაძლებელია მაქსიმუმ 90 დღის ვადით, რაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მოკლე პერიოდია. მოითხოვონ.

---

[43] აჩუაშვილი ნ. კიკნაძე ნ. უმუშევრობა, როგორც მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. ჟურნალი-ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. #1(38). 2017 წელი. გვ. 236-241

“პენსიამდელ სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება ორიენტირებულია ხანშიშესულ უმუშევართა ჯგუფზე. დახმარების მიღება შეუძლიათ უმუშევრებს, რომელთაც საპენსიო ასაკს 5 წლამდე პერიოდი აშორებთ. დახმარება გაიცემა საპენსიო ასაკამდე დარჩენილი სრული პერიოდის განმავლობაში. იმისათვის რომ გახდეს დახმარების მიმღები, პირველ რიგში ინდივიდმა უნდა ამოწუროს მისთვის განკუთვნილი „სამუშაოს მაძიებელთა“ დახმარება, ასევე მას უნდა ჰქონდეს ნამუშევარი საკმარისი პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი, 20 წელი). დახმარება შეადგენს ბენეფიციარის წინა პერიოდის საშუალო ხელფასის 40%-ს და არ აღემატება მინიმალური ხელფასის 40%-ს (142 ევრო 2016 წელს). “[44]

საქართველოსთვის ასევე საინტერესოა ჩეხეთის რესპუბლიკის 1990-1999 წლების გამოცდილება. „ჩეხეთის რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო იყენებდა დასაქმების გაუმჯობესების შემდეგ ინსტრუმენტებს: ახალ სკოლადამთავრებულებისთვის გადამზადების პროგრამები, შშმ პირებისთვის სამუშაო ადგილების ადაპტირების პროგრამები და გადამზადების პროგრამები რომელიც მიმართული იყო დასაქმების ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული დისბალანსის დასარეგულირებლად. გატარებული ღონისძიებების შედეგიანობა და ეფექტურობა შეფასდა ორი სხვადასხვა მხარის მიერ. შეფასება, რომელიც ჩაატარა თვითონ სამინისტრომ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, გვეუბნება, რომ შედეგები 70%დან 100%მდე ეფექტურობით გამოირჩეოდა.“[45]

2019 წელს საქართველოს ბიუჯეტში შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამის განსახორციელებლად 4 290 000 ლარი გამოიყო. ეს თანხა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკით გათვალისწინებული მუხლების შესრულებას მოხმარდება, ესენია:

---

[44] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

[45] იგივე

- ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/ განხორციელება;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება;
- შრომის ბაზარზე, შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.
- სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება.
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა;
- ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების მომზადება-გადამზადება.

3.2. სახელმწიფო პროგრამები და შექმნილი სამუშაო ადგილები

სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ საპარტნიორო ფონდსა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად განხორციელებული პროექტია, რომელიც 2016 წლის 11 მაისს #206 დადგენილებით დამტკიცდა. ის ეკონომიკური რეფორმების ნაწილია და სამთავრობო 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. პროექტს აქვს ორი მიმართულება, ესაა ინოვაციური კომპონენტი და მაღალტექნოლოგიური კომპონენტი.

ინოვაციური კომპონენტი-ინოვაციურ კომპონენტში დაფინანსების მოპოვება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ან პირთა ჯგუფს, რომელთაც აქვთ ინოვაციური ბიზნეს იდეა. დასაშვებია ნებისმიერი სფეროს/დარგის

დაფინანსება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. „ინოვაციური იდეა გულისხმობს - ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის, ან მომსახურების დანერგვას. ბიზნეს იდეა უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი. „სტარტაპ საქართველოს“ თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე. ცალკეული პროექტის მთლიანი ბიუჯეტის ოდენობა არ არის შეზღუდული. განმცხადებელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტში ფულადი და არაფულადი ფორმით, ამასთან, განმცხადებლის ფულადი თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ფულადი ბიუჯეტის სულ მცირე 10%–ს. კომპანიის წილის 45% განმცხადებელს გადაეცემა ბიზნეს იდეის სანაცვლოდ, ხოლო დარჩენილი წილის განაწილება ხდება პროპორციულად, კაპიტალშენატანების შესაბამისად. მინიმალური სავალდებულო თანამონაწილეობის პირობებში ერთობლივ საწარმოში (სტარტაპ კომპანიაში) ბენეფიციარის წილობრივი მონაწილეობა შეადგენს სულ მცირე 50,5%–ს. „სტარტაპ საქართველო" რჩება ერთობლივ საწარმოში პარტნიორად არა უმეტეს 10 წლის ვადით, ამასთან ვადა ინდივიდუალურია თითოეული პროექტისათვის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ბენეფიციარის მიერ წილის გამოსყიდვა უნდა მოხდეს მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებულ ვადაში. ბენეფიციარს ენიჭება „სტარტაპ საქართველოს“ წილის გამოსყიდვის უპირატესი უფლება. გამოსყიდვის ფასი შეადგენს „სტარტაპ საქართველოს“ მიერ ინვესტირებულ თანხას დამატებული წლიური 10% რთული დარიცხვის მეთოდით, ფაქტიური ვადის გათვალისწინებით. უზრუნველყოფის სახით ბენეფიციარს არ მოეთხოვება რაიმე სახის პირადი ქონება, უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ სტარტაპ კომპანიის აქტივები.“[46]

მაღალტექნოლოგიური კომპონენტი-მოიცავს შემდეგ მიმართულებებს ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი,

[46] სტარტაპ საქართველო. http://startup.gov.ge/geo/program გადამოწმებულია 12.05,2019

ბიტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები, ტელეკომუნიკაცია. მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეის შემთხვევაში: პროექტის შეაფასებენ წამყვანი საერთაშორისო ექსპერტები სილიკონველიდან (აშშ), საინვესტიციო დაფინანსება 100,000 ლარამდე, არ მოითხოვება განმცხადებლის თანხობრივი თანამონაწილეობა, განმცხადებლის წილობრივი მონაწილეობა 95%, წარმატებული პროექტების წარდგენა საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველში.

„2016 წელს პროგრამის - „სტარტაპ საქართველო“ ფარგლებში განხორციელდა 55 მაღალტექნოლოგიური (20) და ინოვაციური სტარტაპ (33) პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 5 087 712 ლარი. ინოვაციური სტარტაპების ჯამური ღირებულება იყო 3 087 712 ლარი, აქედან სახელმწიფოს მიერ გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა - 2 471 796 ლარი, რაც პროგრამების საერთო ღირებულების

დიაგრამა N10. შექმნილი სამუშაო ადგილები და დაფინანსებული სტარტაპები 2016 (ლარი)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

80%. მაღალტექნოლოგიური სტარტაპების ფარგლებში დასაქმდა 114 ადამიანი, ხოლო ინოვაციური სტარტაპების ფარგლებში - 287. ამ უკანასკნელიდან მუდმივად დასაქმდა - 185, დროებით - 52 და სეზონურად 50 ადამიანი. "[47]

2014 წლის ივნისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში". პროგრამის მიზანია, საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს მიერ დაარსებული სამი სააგენტო-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე არიან ჩართულები „აწარმოე საქართველოს" პროგრამაში და სთავაზობენ ფინანსურ დახმარებას შესაბამის კომპანიებს.

„პროექტის ბიზნეს მიმართულება ხელს უწყობს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას - ახალი საწარმოების გახსნასა და არსებული საწარმოების გაფართოებას. ექსპორტის მიმართულების ძირითადი მიზანია ქართული საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ამაღლება. ეს მიიღწევა ადრესატების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმართული საქონლის მოცულობის გაზრდით. საინვესტიციო მიმართულება მოდერატორის როლს ასრულებს უცხოურ ინვესტორებსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის, უზრუნველყოფს განახლებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასა და სახელმწიფო უწყებებთან ეფექტურ კომუნიკაციას. მიმართულება ასევე ფუნქციონირებს, როგორც უცხოური ინვესტორებისთვის ინვესტირების პროცესის დამხმარე ობიექტი."[48]

---

[47] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ანგარიში შრომის ბაზრის ძირითადი ინდიკატორების შესახებ. 2016 წელი. გვ. 14

[48] პროგრამა „აწარმოე საქართველოს" შედეგების შეფასება. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf გადამოწმებულია 14.05.2019

2014 წლის 30 მაისიდან 2018 წლის 30 სექტემბრამდე, პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ ჯამში, 338 ბენეფიციარია (340 პროექტი) ჩართული. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი მოიცავს 3 ძირითად სექტორს: 1. სასტუმროს; 2. სოფლის მეურნეობის; 3. წარმოების. ამ სექტორების მიხედვით, დაფინანსების მიმღები ბიზნესების რაოდენობა 338-ს შეადგენს. 338 ბენეფიციარიდან, ნაწილი სტარტაპი იყო, ნაწილმა კი დაფინანსება წარმოების გაფართოებისათვის გამოიყენა. ბენეფიციარების ბიზნეს-სტატუსის წარმოდგენა, შესაძლებელია წლების ჭრილში:

„ბენეფიციარების მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი აჭარბებს მილიარდ ლარს, ხოლო დამატებული ღირებულება - 0.5 მილიარდ ლარს, თუმცა, უფრო დიდი წილი მოდის არსებული ბიზნესების გაფართოებაზე, ვიდრე სტარტაპებზე. შესაბამისად, ამ მაჩვენებლების შექმნაში მონაწილეობს როგორც პროგრამა, ისე კომპანიების მიერ განხორციელებული სხვა ინვესტიციები.“[49]



[49] პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ შედეგების შეფასება.
http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf
გადამოწმებულია 14.05.2019

დიაგრამა N11. დაფინანსებული პროექტები "აწარმოე საქართველოში" 2016 (ლარი)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2016 წელს (28 ოქტომბრის მდგომარეობით) პროგრამის-„აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა 2 752 პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 243 454 010 ლარი. დაფინანსებული პროექტების მიხედვით დასაქმდა მთლიანობაში 12 423 ადამიანი. 2016 წელს ყველაზე მეტი თანხა დაიხარჯა ინდუსტრიული განვითარების პროგრამებში, რაც პირდაპირ აისახა სამუშაო ადგილების გენერაციაზე - შეიქმნა 6350 სამუშაო ადგილი. 5000 სამუშაო ადგილი შეიქმნა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებით.

დასაქმების სტატისტიკის ანალიზი პროგრამის ფარგლებში. ეკონომიკური ეფექტის გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმების დონის ზრდაა. ბენეფიციარების ‘აწარმოე საქართველოში’ პროგრამაში ჩართვის შემდეგ, თანამშრომლების რაოდენობის წმინდა ზრდამ 3,033-ს მიაღწია.

წარმოდგენილია ბენეფიციარ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა, წლების მიხედვით:



თანამშრომელთა წმინდა ზრდა პროგრამაში ჩართვის შემდეგ, 2014-2018* წლებში

გრაფიკი 5.53



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

- 2014-2017 წლებში წარმოდგენილია 1 ბენეფიციარის ინფორმაცია, რომელიც აღარ ფუნქციონირებს 2018 წლიდან

- 2015-2018 წლებში წარმოდგენილია 1 ბენეფიციარის ინფორმაცია და 2017-2018 წლებში კიდევ 1 ბენეფიციარის ინფორმაცია, რომლებიც ლიკვიდაციის რისკის ქვეშ არიან

- 2015-2017 წლებში წარმოდგენილია 1 ბენეფიციარის ინფორმაცია, რომელიც აღარ ფუნქციონირებს 2018 წლიდან

- 2015-2018 წლებში წარმოდგენილია 2 ბენეფიციარის ინფორმაცია, რომლებიც აღარ ფუნქციონირებენ 2018 წლიდან

*არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

„ტოპ 3 სექტორი, რომელშიც გამოიკვეთა თანამშრომლების რაოდენობის წმინდა ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, არის საკვების და სასმელის, შინაური ცხოველების პროდუქციის და სამშენებლო მასალების წარმოების სექტორები. განსხვავება სექტორებს შორის შესაძლებელია გამოწვეული იყოს გამოკითხული 85 ბენეფიციარი კომპანიის სხვადასხვა სექტორში არათანაბარი გადანაწილებით. პროგრამაში ჩართვის შემდეგ, 2014-2018 წლებში, ბენეფიციარი კომპანიების მიერ ახალი 3,033 თანამშრომლისთვის გადახდილი ჯამური სახელფასო ფონდი შეადგენს, დაახლოებით, 25,552,635 ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე. გენდერულ ჭრილში, ბენეფიციარებში დასაქმებულ თანამშრომელთა წილი თითქმის თანაბარია. განსხვავება არის სექტორულ ჭრილში, მაგრამ ეს, ერთის მხრივ, გამოიწვეულია თავად სექტორების სპეციფიკით.“[50]

პროექტით შექმნილ საწარმოებში დასაქმებულთა ხელფასის საშუალო მაჩვენებლები, საბაზროსთან მეტ-ნაკლებად, მიახლოებულია: „ლითონები, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, საკვები და სასმელი და სხვა წარმოება. ხოლო სექტორებისთვის: ქაღალდი და შეფუთვა, პლასტმასი, ელექტრო ტექნიკა, ტანსაცმელი და ტექსტილი, სამშენებლო მასალები, ხის წარმოება და შინაური ცხოველების პროდუქცია - მონაცემები საბაზროსგან განსხვავებული და დაბალია. გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო მონაცემების საშუალო მაჩვენებელი ერთდროულად აერთიანებს რამდენიმე სექტორს და მასში შედის ისეთი სექტორებიც, რომლებშიც შერჩეული ბენეფიციარები არც კი ხვდებიან, შესაბამისად, მონაცემების პირდაპირი შედარება და ანალიზი არ არის გამართლებული.“[51]

---

[50] პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ შედეგების შეფასება.
http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf
გადამოწმებულია 14.05.2019

[51] იგივე

ბენეფიციარებში დასაქმებულთა ანალიზი, გენდერულ და სექტორულ ჭრილში, 2018* წლისთვის



მამრობითი სქესის წილი სექტორებში - ლითონები, ელექტრო ტექნიკა და სამშენებლო მასალები, 75%-ზე მეტია, ხოლო სექტორებში - ტანსაცმელი და ტექსტილი, 10%-ს უდრის. დასაქმებულებს შორის გენდერული ჭრილში შედარებით თანაბარი განაწილებაა სექტორებში - ქაღალდი და შეფუთვა, საკვები და სასმელი და სხვა პროდუქცია.

66 ბენეფიციარის ინფორმაციის მიხედვით

3.3. უმუშევრობის დაზღვევის საერთაშორისო პრაქტიკა და რეალური შესაძლებლობები საქართველოში

„უმუშევრობის დაზღვევა შრომის ბაზრის პასიურ პოლიტიკას მიეკუთვნება. სხვადასხვა ქვეყნაში მას განსხვავებული სახელით მოიხსენიებენ, როგორიცაა დასაქმების დაზღვევა, უმუშევრობის დაზღვევა, უმუშევრობის შემწეობა და ა.შ. როგორც წესი მისი გაცემის პერიოდი შეზღუდულია იმ ვადით, რაც საკმარისია ახალი სამსახურის პოვნისთვის, ანუ იგი ფარავს ფრიქციული უმუშევრობის პერიოდს. ზოგ ქვეყანაში იგი უფრო ხანგრძლივია და საკმარისია გადამზადების პერიოდისათვისაც. ამასთან შემწეობის თანხა შეადგენს იმაზე ნაკლებს, ვიდრე ადამიანი მიიღებდა დასაქმების შემთხვევაში, ეს ხდება იმისათვის, რომ მოსახლეობამ არ დაკარგოს დასაქმების მოტივაცია.“[52]

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრობის დაზღვევის დაფინანსების განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ: დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დამსაქმებლების და დასაქმებულების შენატანებიდან. ზოგჯერ დაფინანსება ხდება სამივე მხარის მიერ. მონაწილე მხარეების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე უმუშევრობის დაზღვევის სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს მაგრამ ეს სფერო სახელმწიფოს მიერ მკაცრადრეგულირდება. ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს დამსაქმებლები, პროფკავშირები და დამოუკიდებელი ფონდები ასრულებენ.

„**დანიაში, ფინეთსა და შვედეთში** დანერგილია “Ghent” სისტემა, რომელიც უმუშევრობის ნებაყოფლობით დაზღვევას გულისხმობს და ფინანსდება დასაქმებულის და დამსაქმებლის მიერ. იმის გამო, რომ Ghent სისტემის მქონე ქვეყნებში, ამ სისტემაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი იყო პროფკავშირების წევრობა, პროფკავშირებში ჩართულობა დღესაც მაღალია. ამ ეტაპზე აღნიშნულ ქვეყნებში უმუშევრობის დაზღვევის სხვა ფონდების არსებობის გამო,

---

[52] უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება. ნოემბერი 2018 წელი.

უმუშევრობის დაზღვევის სერვისით პროფკავშირის არაწევრებიც სარგებლობენ. თუმცა, პროფკავშირი, კვლავაც წამყვან როლს ასრულებს მსგავსი ფონდების ადმინისტრირებასა და მართვაში.“[53]

ფინეთში, მოქმედებს შერეული სისტემა. „დასაქმებულთა დააახლოებით 70% პროფკავშირების წევრია, პროფკავშირებში გაწევრიანება მჭიდრო კავშირშია უმუშევრობის დაზღვევის ფონდში გაწევრიანებასთან. თუმცა მოქმედებს გარკვეული უმუშევრობის ფონდები, სადაც პროფკავშირის წევრობა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ზოგიერთი მსგავსი ფონდი პროფკავშირების ფონდის მიერაც იმართება. აღნიშნულ ფონდში შენატანები შეაქვს არამარტო დასაქმებულს არამედ დამსაქმებელსაც. საბაზისო უმუშევრობის შემწეობა დღიურად 32,4 ევროს შეადგენს და გაიცემა 500 დღის განმავლობაში, კვირის სამუშაო დღეების გათვალისწინებით.“[54]

კვაზი-Ghent სისტემა მოქმედებს **საფრანგეთშიც**, სადაც „ბენეფიტები ნაწილდება დამოუკიდებელი სააგენტოს - UNIDEC მიერ და იგი იმართება პროფკავშირებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლების მიერ თანაბრად. საფრანგეთში მოქმედებს 3 სქემა - ARE, ACA და ASR. საფრანგეთში უმუშევრობის დაზღვევით მისაღები თანხა ითვლება 12 თვის ხელფასის საშუალოს მიხედვით და აღნიშნული საშუალოს 57-დან 75%-ს შეადგენს, თუმცა მაქსიმალურ ზღვრულ მოცულობად 13 244 ევროა მიჩნეული. შენატანების ხანგრძლივობისა და ბენეფიციარის ასაკის გათვალისწინებით დახმარება მაქსიმუმ 24 ან 36 თვემდე გრძელდება.“[55]

გერმანიაში „უმუშევრობის დაზღვევა იმართება ფედერალური დასაქმების სააგენტოს მიერ და ფინანსდება დასაქმებულისა და დამსაქმებლის მიერ. მონაწილეობა და შესაბამისად კონტრიბუციის გაკეთება სავალდებულოა, როგორც

---

[53] უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება. ნოემბერი 2018 წელი.

[54] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

[55] იგივე

დასაქმებულისთვის, ისე დამსაქმებლისთვის. ფონდი ძირითადად ფინანსდება დამსაქმებლის და დასაქმებულის შენატანებით, თუმცა სახელმწიფო გარკვეულ ხარჯს წევს დასაქმების ცენტრებისათვის.

ნორვეგიაში უმუშევრობის დაზღვევა გაიცემა 52-104 კვირის განმავლობაში და დარიცხული ხელფასის დაახლოებით 62,4%-ს შეადგენს. უმუშევრობის დაზღვევა ზოგადი სოციალური დახმარების ნაწილია და სავალდებულო გადასახადებით ფინანსდება.

შვეიცარიაში უმუშევრობის დაზღვევა სავალდებულოა და მისი გადახდის პერიოდი 90-დან 520 დღემდე გრძელდება და შეადგენს წინა 6 თვის ხელფასის საშუალოს 70-80%-ს ყოველთვიური ზედა ზღვრით (11 521 ევრო).“[56]

2015 წლამდე **სომხეთში** გაიცემოდა უმუშევრობის შემწეობა 1 წლის ვადით და შეადგენდა ქვეყნის მინიმალური ხელფასის (30 000 სომხური დრამას) 60%-ს16, 2015 წლის შემდეგ უმუშევრობის შემწეობა აღარ გაიცემა, მხოლოდ დამსაქმებელია ვალდებული სტაჟის მიხედვით გარკვეული კომპენსაცია მისცეს დასაქმებულს.

„აზერბაიჯანში გაიცემა უმუშევრობის შემწეობა და ის ბენეფიციარს უნაზღაურებს უმუშვერად რეგისტრირებამდე 12 თვის დარიცხული ხელფასის საშუალოს 70%-ს, მაგრამ არაუმეტეს ქვეყნის საშუალო ხელფასისა (2017 წლის მონაცემით 528 აზერბაიჯანული მანეთი, დაახლოებით 307 დოლარი). ჯამში უმუშევრობის შემწეობა გაიცემა 26 კვირაზე 1 წლის განმავლობაში ნებისმიერ პერიოდში.

უკრაინაში გაიცემა უმუშევრობის შემწეობა და ის შეადგენს ხელფასის 50-დან 70%-მდე სტაჟის გათვალისწინებით, შემწეობა გაიცემა 360 დღეზე და შეიძლება გახანგრძლივდეს 720 დღემდე თუ საპენსიო ასაკამდე ორი წელია დარჩენილი. მაქსიმალური უმუშევრობის შემწეობა საარსებო მინიმუმზე (2018 წლის 1 ივლისის

---

[56] უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება. ნოემბერი 2018 წელი.

მიხედვით 1841 გრივნა, დაახლოებით 65 დოლარი) მაქსიმუმ 4-ჯერ მეტი შეიძლება იყოს (260 დოლარი).“[57]

საქართველოში „ოფიციალური სტატისტიკით 276,4 ათასი უმუშევარია. თუკი ყველა უმუშევარი 6 თვის განმავლობაში 200 ლარიან უმუშევრობის შემწეობას მიიღებდა ბიუჯეტის ხარჯი გაიზრდებოდა 331,7 მლნ. ლარით, რაც საქართველო ბიუჯეტისთვის საკმაოდ დიდი თანხაა. ამიტომ ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, უმუშევრობის შემწეობის მიმღები უნდა იყოს პირი, რომელიც მუშაობდა ბოლო 1 წლის მანძილზე და რომელმაც დაკარგა სამუშაო ადგილი. ასეთი წლიურად დაახლოებით 40 ათასი ადამიანია. შესაბამისად, სახელმწიფოს ხარჯი წელიწადში20 იქნება არა-უმეტეს 40000*6*200=48 000 000 ლარისა. უმუშევრობის შემწეობის დანიშვნა შეამცირებს საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვს და საარსებო შემწეობაზე გასაცემ თანხას, რაზეც 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 257.7 მლნ. ლარი დაიხარჯა.“[58]

მსოფლიო ბანკის მონაცემებით „ასაკით პენსიონერთათვის, პენსიის 20 ლარიანმა ზრდამ, გამოიწვია სიღარიბის დონის 2,8%-ით შემცირება. შესაბამისად, 200 ლარიანი უმუშევრობის შემწეობის დაწესება 40,8 ათასი ადამიანისთვის პირველ წელს გამოიწვევს სიღარიბის დონის შემცირებას დაახლოებით 40800/74166222*200/20*0.5(6 თვე)*2,8%=0,8%-ით.“[59]

უმუშევრობის შემწეობა უნდა აღემატებოდეს საარსებო შემწეობას. „საშუალო ოჯახი საქართველოში შედგება 4 წევრისგან, შესაბამისად უმუშევრობის შემწეობა უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რასაც მიიღებდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 4 სულიანი ოჯახი საარსებო შემწეობის სახით. ეს საკითხი ასევე პირდაპირ კავშირშია მინიმალურ ხელფასთან. უმუშევრობის შემწეობასთან ერთად საარსებო შემწეობას

---

[57] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

[58] იგივე

[59] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 10

უნდა აღემატებოდეს მინიმალური ხელფასიც. ამ გზით მოსახლეობას შეუნარჩუნდება მუშაობის მოტივაცია. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე უმუშევრობის დაზღვევის მინიმალური პერიოდი უნდა იყოს არანაკლებ 12 თვისა. ამასთან, იმისათვის, რომ სადაზღვეო თანხა იყოს მეტნაკლებად ღირსეული (ხელფასის 50%-ზე მეტი) ყოველთვიური შენატანი უნდა შეადგენდეს არანაკლებ ხელფასის 3%-ს. აღნიშნული შენატანი ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში უნდა განაწილდეს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. “[60]

[60] დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

დასკვნები:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში დასაქმების მაჩვენებელი გასულ ათი წელთან შედარებით გაზრდილია, ქვეყნაში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალ ნიშნულს იკავებს. წლების მანძილზე დასაქმების ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და მას გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია არ ახასიათებს. ასევე ჩანს, რომ არსებულმა ეკონომიკურმა ზრდამ უმუშევრობის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, რადგან ეკონომიკის არასტაბილური ზრდის პირობებში არასტაბილურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნაც. არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ ის, რომ ქვეყანაში არსებულ სამუშაო ძალას აქვს დაბალი კვალიფიკაცია და არ ფლობს სამუშაო ადგილის შესაბამის უნარ-ჩვევებს.

კვლევის ძირითად შედეგად ვაჩვენებთ მას, რომ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებსა და ოფიციალურ სტატისტიკას შორის არსებითი სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი არასრული დასაქმებაა, როცა დასაქმებულებს არ გააჩნიათ საკმარისი სამუშაო და მიღებული შემოსავალი რეალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ძირითადად, ისინი საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას თავს უმუშევრად მიიჩნევენ;

მიღებული შედეგის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს საკვლევი თემის აქტუალობა, რადგან მოსახლეობის შეფასებით, სამუშაო ადგილების არარსებობა უმნიშვნელოვანესი საკითხია, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ. ამავდროულად ვიღებთ სურათს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უმუშევრად მიიჩნევს, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში განსხვავებული მაჩვენებლებია.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს ჩვენი მცდელობა მოვახდინოთ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფა.

პესრსპექტიული გამოყენების სფეროდ ვთვლით ქვეყნის შრომის ბაზარს, ასევე იმ სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქვეყანაშის უმუშევრობის პრობლემების დაძლევაზე.

საკითხის შესწავლამ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:

- საქართველოში უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი შრომისუნარიანი მოსახლეობის ქვეყნიდან გასვლაა. შრომისუნარიანი პირების სამუშაო ძალიდან გასვლა ცალსახად არ ნიშნავს, რომ ამ პირებს მუშაობა არ სურთ ან დასაქმებისთვის მზად არ არიან;
- ძირითადად, თვითდასაქმება სოფლის მეურნეობაშია და წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი შინამეურნეობის ფარგლებში მოიხმარება. თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში დაბალია;
- უმუშევრობის მაღალი დონე 20-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია. ამ ასაკის შრომისუნარიანი პირები ყველაზე აქტიურად ეძებენ სამსახურს, მაგრამ ნაკლებად საქმდებიან. დასაქმების მაღალი დონე კი 45-59 ასაკობრივ კატეგორიაშია;
- საქართველოში კერძო სექტორის მიერ სამუშაო ძალის მაღალი მოთხოვნა ვაჭრობის სფეროშია. შესაბამისად, პროფესიის მიხედვით, მოთხოვნის მაღალი რაოდენობა გაყიდვების სფეროს მუშაკებზეა;
- საბჭოური განათლებისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრი რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამწუხაროდ ვერ პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს - შრომითი რესურსის დაახლოებით 55÷65%;
- ახალბედა და მცირე გამოცდილების მქონე კადრი (ძირითადად 15÷24 წლის ასაკს შორის), რომელთაც დასაქმებისთვის სჭირდებათ შემდგომი საფუძვლიანი გადამზადება - შრომითი რესურსის დაახლოებით 5÷10%;

- გარკვეული გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრი (ძირითადად 25÷39 წლის ასაკს შორის), რომელთაც დასაქმებისთვის ძირითადად სჭირდებათ შემდგომი გადამზადება - შრომითი რესურსის დაახლოებით 30÷35%;
- ბოლო დროს ჩამოყალიბებული - უცხოური და წარმატებული ქართული განათლების (ძირითადად ევროპული, ან ამერიკული და წარმატებული ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებები) და გამოცდილების მქონე კადრი - შრომითი რესურსის დაახლოებით 2÷4%.

აღნიშნულ ჯგუფთან მიმართებაში გვსურს აღვნიშნოთ ერთი ჩვენი დაკვირვება: მათი ნაწილი სათანადოდ ვერ ახდენს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენას სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო. ამ ხელისშემშლელი გარემოებებიდან უნდა გამოვარჩიოთ „კაფსულაში ჩაკეტილი ცოდნის ცნება“, როდესაც არსებული სამუშაო გარემო მათი ცოდნისა და გამოცდილების რეალიზების შესაძლებლობას არ იძლევა;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI-ის) მიერ 2018 წლის 10-22 აპრილს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
2. უმუშევრობა და შრომის ბაზრის რეგულირება. ნოდარ გრძელიშვილი. სამართალი და ეკონომიკა-სამეცნიერო ჟურნალი. სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2018. N 9. გვ. 27-34.
3. საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ეგნატე შამუგია. უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. 1998-2017. იანვარი 2018. გვ. 2
4. უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება. ნოემბერი 2018 წელი.
5. უმუშევრობა, როგორც მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. აჩუაშვილინ, კიკნაძე ნ. ჟურნალი ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. #1(38). 2017 წელი. გვ. 236-241
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური პუბლიკაცია - ,,დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“, (2017);
7. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. რამაზ აბესაძე. ჟურნალი ეკონომისტი. #2. 2017 წ. გვ.6-21
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ. 4.
9. ესტონეთში არ არის უმუშევრობა. კობა ნაცვლაძე. ახალი აგრარული საქართველო: ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი, აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია (ასკა); საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი რეგიონიკა. თბილისი, 2017. ნოემბერი. N 11 (79). გვ. 7-9.

10. უმუშევრობა. სალომე ბატიაშვილი; ხელმძღვანელი: აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე.XIX სამეცნიერო კონფერენციის შრომები. თბილისის დავით აღამაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. ივნისი. N 4. გვ. 17-20.
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №167, „საქართველოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2016 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი;
12. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში. კაპანაძე ნ. ქურხული დალი. 2016 წელი. 68 გვ.
13. თანამედროვე შრომის ბაზარი და დასაქმების პრობლემა საქართველოში, ასმათ შამუგია. გუგუშვილის ინსტიტუტის შრომები. #8 2015 წელი. გვ. 481-484
14. არჩვაძე ი. (2013).შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ.

ინტერნეტრესურსები:

1. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18
   საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2. https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_November%202018.pdf
   საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. მურმან ცარციძე, საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია, უმუშევრობის და სიღარიბის ნაწილი (https://www.tsu.ge/data/file_db/economist.../murman.pdf);
   26.052019

4. უმუშევრობის პრობლემა. ბესო ნამჩავაძე. Forbes Georgia. 18 ნოემბერი 2015 წელი. http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema გადამოწმებულია 27.05.2019

5. უმუშევრობის ნეოლიბერალური წყევლა. https://1tv.ge/analytics/umushevrobis-neoliberaluri-wyevla/ გადამოწმებულია 30.02,2019

6. საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობა ევროპის საშუალო მაჩვენებელს 2,5-ჯერ აღემატება. 02.10.2016 https://commersant.ge/ge/post/saqartveloshi-axalgazrdebis-umushevroba-evropis-sashualo-machvenebels-25djer-agemateba

გადამოწმებულია 22.05.2019

7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელფასების სტატისტიკა 2019 წლის I კვარტალი. https://www.geostat.ge/media/24599/xelpasebis-statistika-17.06.2019.pdf გადამოწმებულია 20.05.2019

8. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისაქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამინის უფლებების კვლევის ინსტიტუტი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. 2017 წელი.

http://www.gruni.edu.ge/uploads/files/Other_page/human_law/დასაქმების%20სახელმწიფო%20პოლიტიკა%20საქართველოში.pdf გადამოწმებულია 15.05.2019

9. სტარტაპ საქართველო. http://startup.gov.ge/geo/program გადამოწმებულია 12.05,2019

10. პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ შედეგების შეფასება. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf გადამოწმებულია 14.05.2019

დანართები:


დიაგრამა # 8. უმუშევრობისა და დასაქმების დონეები ასაკობრივ ჭრილში (%, 2017ნ.)
24,6
17,9
27,1
64,3
45,3
29,6
75,8
60,1
20,8
76,3
63,8
16,4
80,0
66,7
16,6
83,0
71,8
13,5
81,8
72,0
11,9
81,8
72,1
11,9
76,8
69,5
9,5
68,6
63,5
7,4
39,4
38,0
3,6
65,8
56,7
13,9
15-19
20-24
25-29
30-34
35-39
40-44
45-49
50-54
55-59
60-64
65+
სული
სული აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)
დასაქმებული
უმუშევარი

დიაგრამა # 9. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%, 2014-2017 წწ.)